მომხმარებლის სახელმძღვანელო

Aisino A99 Android

Contents

1.1 ტერმინალის ვიზუალი 3
1.2 კომპლექტაცია 3
1.3 ტერმინალის ჩართვა/გამორთვა 3
1.4 ქაღალდის შეცვლა 3
1.5 მთავარი მენიუ 4
1.6 პარამეტრები 5
1.6 გადახდა 6
1.7 ტრანზაქციის გაუქმება (Reversal) 6
1.8 თანხის დაბრუნება (Refund) 6
1.9 ქვითრის ასლის ბეჭდვა 6
2.0 დღის მოკლე და სრული ანგარიში 7
2.1 დღის დახურვა 7
2.2 პრეავტორიზაცია (თანხის დარეზერვება) 8
2.3 პრეავტორიზაციის დასრულება 8
2.4 პრეავტორიზაციის ტრანზაქციის გაუქმება 9
2.5 თიფი 10

1.1 ტერმინალის ვიზუალი

1.2 კომპლექტაცია

- დამტენი მოწყობილობა
- კვების კაბელი
- აკუმულატორი
- თერმული ქაღალდი

1.3 ტერმინალის ჩართვა/გამორთვა

ტერმინალის ჩასართავად, დააჭირეთ ტერმინალის მარჯვენა გვერდით მდებარე ჩამრთველ ღილაკს 3-5 წამის განმავლობაში, სანამ არ განათდება ეკრანი.

ტერმინალის გამოსართავად, დააჭირეთ ტერმინალის მარჯვენა გვერდით მდებარე ღილაკს 2-3 წამის განმავლობაში, რის შემდეგაც ეკრანზე გამოტანილ ღილაკს „Power off” -ს ვაწვებით და ვთიშავთ ტერმინალს.

1.4 ქაღალდის შეცვლა

კონტეინერის გასაღებად, ეკრანის ზედა ნაწილთან ორივე მხარეს მოქაჩეთ თქვენი მიმართულებით, ჩადეთ ქაღალდის ახალი შეკვრა და დახურეთ საფარი.

1.5 მთავარი მენიუ

ეკრანის განსაბლოკად, შეეხეთ ეკრანს თითით და გაასრიალეთ.

შედით სამუშაო მენიუში გადახდების მისაღებად (ფოტო 1):

ფოტო #1

მარცხენა ქვედა „მთავარი“ ღილკაზე დაჭერით დაბრუნდებით მთავერ მენიუზე (ფოტო 2) :

ფოტო #2



1.6 პარამეტრები

ტერმინალზე შესაძლებელია გარკვეული პარამეტრების ცვლილება. მარჯვენა ქვედა კუთხეში პარამეტრების მენიუდან (ფოტო 3)

- ✓ **[მოწყობილობის პარამეტრები]**-დან შესაძლებელია (ფოტო 4):
  - **[ენა]** - ინტერფეისის ენის ცვლილება : ქართული, ინგლისური
  - **[მუქი რეჟიმი]** - საშუალებით შესაძლებელია შეიცვალოს პროგრამის ინტერფეისის თემა (გადართვა მუქსა და ნათელ რეჟიმს შორის);
  - **[სწრაფი ტრანზაქციის რეჟიმი]** - ჩართვის შემთხვევაში, ეკრანი ავტომატურად ბრუნდება გადახდის მენიუზე.
  - **[კლიენტის ქვითრის მოთხოვნა]** - საშუალებით შესაძლებელია ინტეფეისზე გამოვიტანოთ კითხვა მეორე ქვითრის ბეჭდვაზე;
- ✓ **[კონფიდენციალურობა]** - დან შესაძლებელია (ფოტო 5):
  - **[კავშირის შემოწმება]** - კავშირის შემოწმება ტერმინალსა და სერვერს შორის.
  - **[პარამეტრების განახლება]** - საჭიროების შემთხვევაში ახალი პარამეტრების განახლება სერვერიდან.
  - **[ლოგების შენახვა]** - მხარდაჭერის მიზნით საპორტის მითითებით ლოგების შენახვა.

ფოტო #3

ფოტო #4



ფოტო #5



1.6 გადახდა

- მთავარ მენიუში დააჭირეთ გამოსახულებას “გადახდა” (ფოტო 6) ;
- აკრიფეთ გადასახდელი თანხა ეკრანზე. შეცდომის შემთხვევაში, თანხის დასაკორექტირებლად გამოიყენეთ უკან დაბრუნების ღილაკი .
- თანხის შეყვანის შემდეგ დააჭირეთ დადასტურების ღილაკს .
- გაატარეთ ბარათი, ტერმინალის ეკრანზე დადებით, ჩიპურ წამკითხველში ბარათის (ჩიპით წინ) მოთავსებით ან ბარათის მაგნიტური ზოლის წამკითხველ ღარში ჩამოტარებით;
- პინ-კოდის მოთხოვნის შემთხვევაში კლიენტმა უნდა შეიყვანოს ბარათის პინ კოდი და
- დაადასტუროთ ღილაკით;
- დაელოდეთ ქვითარს.

1.7 ტრანზაქციის გაუქმება (Reversal)

- მთავარ მენიუში;
- დააჭირეთ გამოსახულება „გაუქმება” (ფოტო 7);
- ტრანზაქციების სიიდან აირჩიეთ და დააჭირეთ საჭირო ტრანზაქციას;
- გადახედეთ ტრანზაქციის დეტალებს და სწორი ტრანზაქციის შემთხვევაში დააჭირეთ „გაუქმებას“, სხვა შემთხვევაში, დააჭირეთ უკან დასაბრუნებელ ღილაკს მოწყობილობაზე.
- პარამეტრებიდან გამომდინარე, შეიძლება მოითხოვოს ბარათის გამოყენება ოპერაციის დასრულების მიზნით;

1.8 თანხის დაბრუნება (Refund)

- დააჭირეთ გამოსახულება „უკან დაბრუნება” ;
- შეიყვანეთ დასაბრუნებელი თანხის რაოდენობა. დაადასტურეთ თანხის დაბრუნება დადასტურების ღილაკით ;
- საჭიროების შემთხვევაში, შეიყვანეთ RRN და დააჭირეთ დადასტურებას .

1.9 ქვითრის ასლის ბეჭდვა

- ეკრანის ქვემოთ მენიუდან შედით „სერვისები“ (ფოტო 8);
- დააჭირეთ, „მიმდინარე დღე“-ს;
- ტრანზაქციების სიიდან აირჩიეთ და დააჭირეთ საჭირო ტრანზაქციას;
- გადახედეთ ტრანზაქციის დეტალებს და სწორი ტრანზაქციის შემთხვევაში დააჭირეთ „ბეჭდვა“-ს;
- დაელოდეთ ქვითარს.

2.0 დღის მოკლე და სრული ანგარიში

- შედით სერვისებში (ფოტო 8)

;
- დააჭირეთ გამოსახულებას „მიმდინარე დღე“;
- ჩამოშლილი ტრანზაქციების ქვევით აირჩიეთ და დააჭირეთ სასურველ ღილაკს „ჯამური ანგარიშის ბეჭდვა“ (დღის მოკლე ანგარიში) ან „დეტალების ბეჭდვა“ (დღის სრული ანგარიში)-ს;
- დაელოდეთ ქვითარს.

2.1 დღის დახურვა

- შედით სერვისებში (ფოტო 8)

;
- დააჭირეთ გამოსახულებას „დღის დახურვა“ (ფოტო 9) ;
- ჩამოშლილი ტრანზაქციების ქვევით დააჭირეთ „დღის დახურვა“-ს;
- დაელოდეთ ქვითარს.

წარმატებული დღის დახურვის შემდეგ, გამოდის შეტყობინება “დღე დაიხურა”, იბეჭდება ქვითარი და ტრანზაქციების ველი ცარიელდება.
დღის დახურვა ხდება 24 საათის განმავლობაში ერთხელ, წინასწარ დაპროგრამებულ დროს. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ხელითაც, ნებისმიერ დროს.

ფოტო #6

ფოტო #7

ფოტო #8

ფოტო #9

2.2 პრეავტორიზაცია (თანხის დარეზერვება)

- მთავარ მენიუში დააჭირეთ გამოსახულებას “წინასწარი ავტორიზაცია” (ფოტო 10);
- აკრიფეთ გადასახდელი თანხა და დააჭირეთ დადასტურების ღილაკს (ფოტო 11);
- გაატარეთ ბარათი, ტერმინალის ეკრანზე დადებით, ჩიპურ წამკითხველში ბარათის (ჩიპით წინ) მოთავსებით ან ბარათის მაგნიტური ზოლის წამკითხველ ღარში ჩამოტარებით;
- დაელოდეთ ქვითარს.

ფოტო #10

ფოტო #11



2.3 პრეავტორიზაციის დასრულება

- მთავარ მენიუში დააჭირეთ გამოსახულებას “წინასწარი ავტორიზაციის დასრულება” (ფოტო 12);
- მოძებნეთ და დადექით ტრანზაქციაზე რომლის დასრულებაც გსურთ (ფოტო 13);
- დააჭირეთ „დადასტურება“ ღილაკს (ფოტო 14);
- დაელოდეთ ქვითარს.

ფოტო #12

ფოტო #13



ფოტო #14



2.4 პრეავტორიზაციის ტრანზაქციის გაუქმება

- მთავარ მენიუში დააჭირეთ გამოსახულებას “წინასწარი ავტორიზაციის გაუქმება” (ფოტო15);
- მოძებნეთ და დადექით ტრანზაქციაზე რომლის დასრულებაც გსურთ (ფოტო 12);
- დააჭირეთ „გაუქმება“ ღილაკს (ფოტო 16);
- დაადეთ ბარათი, რომლითაც შესრულდა პრეავტორიზაციის ტრანზაქცია;
- დაელოდეთ ქვითარს.

ფოტო #15

ფოტო #16



2.5 თიფი

- გადახდის მენიუში, თანხის აკრეფის შემდეგ ეკრანზე გამოდის შეტყობინება - „გსურთ თიფის დამატება?“, თიფის თანხის შესაძლო ვარიანტებით, საიდანაც მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს თანხის სასურველი ოდენობა (ფოტო 17), ასევე შესაძლებელია „სხვა თანხა“ ღილაკზე დადგომით განსხვავებული, სასურველი ოდენობის თანხის მანუალურად აკრეფა;
- გაატარეთ ბარათი;
- დაელოდეთ ქვითარს.

იმ შემთხვევაში, თუ არ სურს მომხმარებელს თიფის დატოვება, შეტყობინება გამოტოვეთ “გამოტოვება” ღილაკზე დადგომით.

- თიფის დატოვება ასევე შესაძლებელია, ყიდვის ტრანზაქციისგან დამოუკიდებლად, გახსენით თიფის მენიუ (ფოტო 18), დადექით სასურველი თიფის ოდენობაზე ან აკრიფეთ თანხა მანუალურად (ფოტო 19);
- გაატარეთ ბარათი;
- დაელოდეთ ქვითარს.

ფოტო #17



ფოტო #18

ფოტო #19